ტფილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშაბათი, 30 დეკემბერი 1903 წ. 1877 წელიწადი ოც-დამეშვიდე 1903 სამშაბათი. 30 დეკემბერი 1903 წ.

გაზეთის ფასი:

12	თვით	10 მ. — კ.
11	,,	9 ,, 50 ,,
10	,,	8 ,, 75 ,,
9	,,	8 ,, — ,,
8	,,	7 ,, 25 ,,
7	,,	6 ,, 50 ,,
6	,,	6 ,, — ,,
5	,,	5 ,, 50 ,,
4	,,	4 ,, 75 ,,
3	,,	3 ,, 50 ,,
2	,,	2 ,, 75 ,,
1	,,	1 ,, 50 ,,

ივერია

№ 279 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 279

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა:

1. ხელის მოწერის დროს — 5 მ. და თიბათვის 1-ს — 5 მ.
2. ხელის მოწერის დროს — 4 მ., მარტის 1-ს — 3 მ. და მარიამობისთვის 1-ს — 3 მ.
3. ხელის მოწერის დროს — 3 მ., მარტის 1-ს — 3 მ. თიბათვის 1 ს — 2 მ. და ენკენისთვის 1-ს — 2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

1904 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

გამოვა იმავე სივრცით და სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ გაზეთი გააუმჯობესოს. იმ თანამშრომელთა გარდა, რომელნიც აქამდე მონაწილეობას იღებდნენ, რედაქციას სხვა ჩვენი მწერლებიც დაჰპირდნენ დახმარებასა და თანამშრომლობას.

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ **თუმანია**. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

1904 წლის ხელის-მომწერთ, რომელნიც სრულ ფასს შემოიტანენ 1 თებერვლამდე, დაურიგდებათ პრემიად გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის რომანი **„აღდგომა“** („Воскресеніе“) და ალ. სუმბათაშვილის დრამა **„ღალატი“** (Измѣна). ეს უკანასკნელი წიგნი იბეჭდება, ავტორის სურათით, და ხელის მომწერთ იანვრის გასულს დაურიგდებათ.

5 მანეთად ტფილისში და **7** მანეთად ტფილისს გარეშე

დაეთმობათ გაზეთი უპრემიოდ: სოფლის მასწავლებელთ, უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ და ყველა ხელოსანს. ამათაც შეუძლიანთ ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანონ.

გაზ. „ივერიის“ **კონტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 5 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

რედაქციას ნება აქვს შეამოკლოს და შეასწოროს დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილი, არ დაბეჭდილ წერილების შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.

ქუთაისში:—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათომში:—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ქელიძის წიგნის მაღაზიაში.

საგურამოში:—პეტრე მაჭავარიანთან.

შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).

გორში:—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ. მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ. Редакція „Иверія“.

შევარდენ ორმოცაძე გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ საყვარელის შვილის

არსენ ორმოცაძის

გარდაცვალებას. დასაფლავება დანიშნულია ოთხშაბათს 31 დეკემბერს ს. ნიგოითში.

(1—1)

როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

აწ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა

ფოტოგრაფი

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით აიღო

და სრულიად ახლად მოაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, მეცამეტე სურათი, მიეცემა **მუქთად** აკვარელით (ფერადებით) საუცხოოდ დახატული.

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, სინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიე ფასად.

მოსწავლე ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სამსონის ძე მომცელიძე.**

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—2 სათამდის საღამოს 5—7, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდის საღამ. 5—7-დის (წლ.)

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 1 იანვარს, 1904 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ორი ობოლი

დრამა 5 მოქმედ. თარგ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. დავითიშვილი, ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი, სთვარცვ-აბაშიძისა. ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, ეიფიანი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შემდეგი წარმოდგენა 2 იანვარს, საიუბილეო „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“ და „სამზადისი“.

რეჟისორი **აკაკი.**

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსული ოპერა

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

სამშაბათს, 30 დეკემბერს, 1903 წ.

წარმოდგენილი იქნება პირველად

ციგანსკი ბარონ

კომიკ. ოპერა 3 მოქ. მუს. ი. შტრაუსისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ჩიჟოვა, კარტავია, სელიუკი-როზნატოვსკაია, ლედინა; ბ-ნნი: რაისკი, სელიავინ, ტულჯევ, ფედოროვი, გავრილოვი.

უფროსი რეჟისორი ბოგოლიუბოვი.

კაპელმეისტერი ბ-ნი ჰოზენი

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ხვალ, ოთხშაბათს 31 დეკემბერს, წარმოდგენილი იქნება «კამორრა».

კომიკ რი ოპერა 3 მ. მუზ. ე. დ. ესპოზიტოსი

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა-დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აველისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

ძ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია)

გ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვაილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჟიჟინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე. შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვების და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

ბრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

ტფილისი, 30 დეკემბერი.

დიდი და პატარა დღეს ამას გაიძახის, რომ გლეხ-კაცობა უკურნებელი სენითაა ავადაო, თუ დროზედ დახმარების ხელი არ მივაშველეთ, სამუდამოდ დაგვეღუპება ეს ჩვენი და სახელმწიფოს მარჩენალიო. დადახმარების „პროექტებს“, ვინ გინდა, რომ არ იგონებდეს. მთავრობა და კერძო კაცნი თითქო ერთმანერთს ეჯიბრებიან უებარ წამლის გამოგონებაში. სათითაოდ ყველასა ჰგონია, ჩემ მიერ ნაჩვენის წამლით რომ დაუწყონ მკურნალობა, სნეული მალე გამოკეთდებაო.

ასეთი მეცადინეობა მთავრობის კაცთა და კერძო მამულიშვილთა ფრიად სასიამოვნოა და საყურადღებო, მაგრამ მაგარი ის არის, რომ „კუდა ხარს“ დღესაც ბუზები ვერ მოუგერებია. ვერც მოიგერებს, ვიდრე კუდი არ გამოებმება, ამის გამომბმელი-კი ჯერ არსადა სჩანს და, ვფიქრობთ, არც მალე გამოჩნდება კუდის შემბმელი.

მართლაც ყველასათვის ცხადია, რომ გლეხ-კაცობა დაძაბუნდა, წელში გაწყდა, მისი ფეხზე დაყენება უდიდეს სიძნელეს წარმოადგენს. დიდ საქმეს კიდევ დიდი ენერგია, შრომა და მეცადინეობა, სიყვარულით შეზავებული, ესაჭიროება. ყველა ეს შეუძლია მხოლოდ მთავრობას იმიტომ კი არა, რომ იგი თავის თავად მთავრობაა, არა, იმიტომ რომ ქვეყნის ძალა მის ხელთაა, აუარებელი ნივთიერი ქონების გამგებელია და უკეთუ ამ ძალას და ქონებას გლეხ-კაცობისაკენ უზამს პირს, მაშინ და მხოლოდ მაშინ მოხდება სასწაული, წელკავიანი წელში გასწორდება და «უკუდო ხარსაც» კუდი გამოებმის. [illegible]

სოდ ყოველი ღონისძიება, ესრედ წოდებული პალიატივის ხასიათისა, სარგებლობას ვერ მოიტანს და ხელში ტყუილი ფართო-ფურთი შეგვრჩება.

ერთ ასეთ პალიატურ ღონისძიებად მიგვაჩნია უმაღლესის მთავრობის განზრახვა—შეუმციროს შიდა რუსეთის გლეხ-კაცობას ტვირთი სანადელო მიწების შესასყიდად აღებულის ვალის გადაწყვეტისა. საქმე აი რაშია, მოკლედ რომ მოვჭრათ სიტყვა: ნადელის დასახსნელად მთავრობამ ფული ასესხა ნაყმევს, შემდეგ ასევე ხელი გაუმართა სახელმწიფო კაცსა, რომელმაც ამ სახით სახელმძიფო მიწა საკუთრებად დაინარჩუნა. მართალია ორთავე ჯურის გლეხის უფლება მოპოვებულ საკუთრებისა შეზღუდულია ადმინისტრაციულის წესით, მაგრამ მაინც საკუთრებაა. აღებულის ვალის სარგებელი ნაანგარიშევია ათ თუმანზე ექვსი მანეთი, რომელიც უნდა იხადოს თავ-დასხნილმა თავნის გადასაწყვეტად 49 წელს. წელიწადში შიდა გუბერნიის გლეხ-კაცობას შეჰქონდა ხაზინაში ორმოც მილიონ მანათზე მეტი ამ ვალის გადასაწყვეტად.

აი სწორედ ეს შესატანი მძიმე ტვირთად გაუხდა რუსის გლეხსა და სულ გაათახსირა. მიზეზი, როგორც ყოველთვის, აქაც სულ უბრალო და მარტივი იყო, ნასყიდი მამული იმდენს არ იძლეოდა, რაც ხარჯი ედო. ამას სხვა აუტანელი და უზომო ხარჯებიც ზედ მიემატა და მიწის მხვნელ-მთესველი უძლური შეიქნა. სხვაფრივ საქმის დატრიალება არც მოხერხდებოდა, რადგან თუ ოჯახს ოცი ოც და ხუთი თუმანი შემოსავალი აქვს, გასავალი-კი ამ თანხას სჭარბობს, იოლად რანაირად წახვალ? ბევრი გაიჭირვა დავალიანებულმა კაცმა, ნახევარზედ მშიერი იყო, აკონკილდაბრანძული დაიარებოდა, მაგრამ მაინც აუცილებელ მთავრობის ხარჯის ზედმეტობას ვერ გაუძლო და წელში გატყდა. „ნედოიმკა“ ისე იზრდებოდა, როგორც სოკო ნაავდრევს.

მთავრობამ მალე მიაქცია ყურადღება სამწუხარო მოვლენას და შველა მოინდომა. გადასახადის რაოდენობას აკლებდა, აცდიდა ვალის შეტანას, გადასახადის ვადას აგრძელებდა, რომ წლიური შესატანი შემცირებულიყო, მაგრამ მაინც საქმეს ვერ ეშველა. „ნედოიმკა“ სოკოსავით იზრდებოდა.

ეხლანდელი განზრახვა მთავრობისა—წლიურად ოც მილიონ მანეთით შემცირება, თითქმის განახევრება სავალდებულო შესატანისა, თავის თავად დიდი შეღავათია, მაგრამ ეს ღონის ძიებაც ისეთივე პალიატიურია, როგორც ზემოდ აღნიშნულნი. სხვა-და-სხვა მიზეზების გამო მთავრობა ერიდება „რადიკალურ წამლობას“ და ამის გამო საქმე ისევე გაუთავებელი რჩება, როგორც იყო გლეხთა განთავისუფლების პირველ ხანებში.—

უებარი წამალი-კი ერთად ერთია ან სრულიად უნდა აპატიოს გლეხკაცობას სანადელო ვალი, ან სარგებელი არ გამოერთვას და მხოლოდ თავნი დაიბრუნოს მთავრობამ. შეღავათიანის პირობით. ორმოცის წლის ცოდვილობამ უნაყოფოდ ჩაიარა. რაღა აზრია ძველის ნა[illegible]ის გზით სიარ[illegible]

ქსანდრე დიდმა, ხმლით გასჭრა იგი. ამ საგნის შესახებ «ივერიას» ბევრჯელ მიუქცევია მკითხველის ყურადღება და დღეს საუბარს აღარ გავაქიანურებთ. ვიტყვით მხოლოდ. რომ ჩვენი გლეხიც გაჭირვებულია შიდა რუსეთის გუბერნიების გლეხისავით, უებარი წამლობა აქაც საჭიროა, რადგან სანადელო ვალის „ნედოიმკები“ აქ უფრო დიდია, ვიდრე იქა.

იმერმა ნადელის დასახსნელად მთავრობას ფული არა სთხოვა; რაც იყიდა, თვისის ჯიბიდგან გაიღო. ამერმა-კი ერთ მილიონამდე ისესხა, მაშასადამე, წელიწადში მარტო ამ ფულისა 60,000 მ. უნდა აძლიოს მთავრობას. თუ არა ვსცდებით, ნედოიმკა უდრის 200,000 მ. ესე იგი თითქმის ოთხის წლის გადასახადი ვერ შეუტანია ულონობის გამო.

დასასრულ იმასაც აღვნიშნავთ, რომ აქაური გლეხკაცობა რაღაცა უცნაურის და გაუგებარის მიზეზების გამო გარიყული რჩება და არ ეძლევა ის შეღავათი, რასაც შიდა გუბერნიების მკვიდრს დროგამოშვებით მიანიჭებენ ხოლმე. ეხლაც ისეა მოფიქრებული და განზრახული, რომ ოც მილიონიანი შეღავათი, ესე იგი გადასახადის განახევრება, მიენიჭოს მხოლოდ თვრამეტის გუბერნიის გლეხკაცობას. შუაგულ რუსეთში განაპირა კუთხენი, დასავლეთ და სამხრეთ გუბერნიების მკვიდრნი ჯერ-ჯერობით გამორიცხავთ ამ დიდის საშეღავათო განზრახვის ფარგალიდგან.

ტფილისი

⁂ პროფესორი ალ. ხახანაშვილი ამ ჟამად სწერს „ისტორიას საქართველოს ლიტერატურისას“, ქ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მინდობილობით.

⁂ დღეს, 30 დეკემბერს, სამეურნეო საზოგადოების სადგომში, საღამოს 8 საათზე დანიშნულია კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა საწოგადო კრება. მიმდინარე საქმეთა გარდა, განიხილავს საგანგებოდ არჩეულ კომისიის პროექტს ღვინის ფალსიფიკაციის შესახებ კანონისას. კრებაზე დასწრება არა წევრთაც შეუძლიანთ.

⁂ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას გადაუწყვეტია მომავალ წლის იანვრის ნახევრამდე წარმოადგინოს დრამა „ღალატი“.

⁂ კავკასიის ზოგიერთ ადგილებში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების შესახებ საკითხს, როგორც რუსეთის გაზეთები იუწყებიან, იუსტიციის სამინისტრო მომავალ წლის შემოდგომაზე ადრე არ განიხილავს.

⁂ „პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია შემდეგი უმაღლესი ბრძანება: „ხელმწიფე იმპერატორმა, თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებისა, 1903 წლის 18 ოკდომბერს, კეთილ ინება და ბრძანა, სანამ გადასინჯულ იქნება სომხ-გრიგორიანთა სარწმუნოების სასულიერო უწყების დებულების კანონები, წესად იქმნას შემოღებული, რომ საეპარქიო ეპისკოპოს-ვიკარების, კონსტიტორიის წევრების, სასულიერო აკადემიებისა და სემინარიების რექტორებისა და მასწავლებლების, მონასტრების წინამძღვრების, აგრეთვე სამრევლო მღვდლების, დიაკვნებისა და მედავითნეების დანიშვნისათვის ნება უნდა გამოითხოვონ: ეპისკოპოს-ვიკარების დანიშვნაზე—მთავარ-მართებლისაგან, დანარჩენ სამღვდელო პირთა დანიშვნაზე—გუბერნატორისაგან ან სხვა სათანადო მოხელეთაგან“.

⁂ როგორც გავიგეთ, თავ. ა. სუმბათაშვილის დრამა „ღალატი“ სომხურად გადაუთარგმნიათ. მოკლე ხანში კიდეც წარმოადგენენ.

⁂ სან-ლუის მსოფლიო გამოფენაზე კავკასიის განყოფილების მომწყობ კომიტეტის წევრი ბ-ნი ფირალოვი ქუთაისის გუბერნიაში გაემგზავრა შინა მრეწველობის ნაწარმოებთა კოლლექციების შესაკრებად.

⁂ 27 დეკემბერს რკინის გზის სამმართველოს დარბაზში რკინის გზაზე მოსამსახურეთა ბავშვთათვის გამართულ იქმნა შობის ხე. ამ საღამოს დაესწრო 300-დე ბავშვი, რომელნიც ფრიად ნასიამოვნები დარჩნენ. საღამოს დაესწრო ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსი ინჟენერი ივანოვსკი და სხვ.

⁂ ქალაქის მიწის მზომლის თავისუფალ ადგილზე ინიშნება ტეხნიკოსი ბ-ნი მელიქ-ალავერდოვი.

⁂ აზრად აქვთ მოკლე ხანში ერევანში ტელეფონი მოაწყონ. ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ შეუთვალა ერევნის ქალაქის თვით-მმართველობას, იკისრებ თუ არა კონცესია აიღო ერევანში სატელეფონო მავთულების გაყვანისაო.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობა, დიდი ხანია, დაეძებს შესაფერს ადგილს საელექტრონო სადგურის შენობის ასაგებად, მაგრამ აქამდე ვერ უპოვია. ყოველ დღე განცხადებანი შედის ქალაქის გამგეობაში სხვა-და-სხვა პირთაგან, რომელნიც წინადადებას აძლევენ, ჩემი მამული იყიდე საელექტრონო სადგურის ასაშენებლადაო. ახლა ბ-ნ პოპკოვმა მისცა წინადადება, საელექტრონო სადგურის ასაგებად იყიდე ჩემი მამული, რომელიც მტკვრის ნაპირას მდებარეობსო. ამ ადგილზე ამ ჟამად წისქვილია და ბამბის ქარხანა.

⁂ გორში 24 დეკემბერს, როგორც გვატყობინებენ. სამოქალაქო სასწავლებლის მოსწავლეთათვის სასწავლებლის გამგეობას შობის ხე გაუმართავს. ასეთი გასართობი პირველი იყო მოსწავლეთათვის, რომელნიც კმაყოფილნი დარჩნენ.

⁂ 22 დეკემბერს ბათუმში წარმოდგენა გაუმართავთ იქაურ სამკითხველოს სასარგებლოდ. აურჩევიათ რამდენიმე პიესები. სხვათა შორის, უნდა წარმოედგინათ დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი“-დან ერთი სცენა, მარმელადოვის როლი უნდა შეესრულებინა „ჩერნომორსკი ვესტნიკ“-ის რედაქტორს პალმს. აუხდიათ ფარდა და გამოჩენილა თუ არა პალმი, ხალხს ყვირილი დაუწყვია, ზოგს დამპალი ვაშლები და ლაყე კვერცხები უსვრია. პოლიციას 6 კაცი დაუჭერია, როგორც უწესოების მომქმედი. ხალხი არ დაწყნარებულა, სანამ პალმი სცენიდან არ გასულა.

⁂ როგორც მკითხველებმა უწყიან, ტფილისის რუსული გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ ორის თვით შეჩერებულ იქმნა. გაზეთი მომავალ წლის 15 იანვრიდან ისევ გამოვა.

⁂ თელავიდან გვწერენ: შობა დღეს აქ ხეირიანი ხორცი არ იშოვებოდა. თუ მიხვიდოდი და ეტყოდი, 5 გირვანქა ხორცი მომეციო, ყასაბი დააწონდა სამ გირვანქა კარგს ხორცს, ორ გირვანქას-კი კისერსა და კანჭებს აწონიდა. თუ ეტყოდით, ეს როგორ იქმებაო, გეტყოდა, იქ წადით, სადაც კარგს მოგცემენო. მყიდველი იძულებული იყო წაეღო ხუთი გირვანქა ხორცი, ორი გირვანქა უვარგისი გადაეყარა, სამი გირვანქა-კი მოეხარშა. კარგი ხორცი, ალბად, იმათ მიაქვთ, ვინც მოვალეა ყური უგდოს ხორცის წესიერად გაყიდვას.

⁂ ტფილისში თოვლი მოვიდა შობა დღეს. საგრძნობლადაც აცივდა.

⁂ როგორც გვატყობინებენ, თელავში გაუხსნიათ სამოქალაქო პურის დუქნები, რომლის აზრიც არის — მეტოქეობა გაუწიოს მეპურეთ. მეპურენი თავიანთ ნებაზედ ჰყიდდნენ პურს. მეპურეებთან ამ ჟამად იმ ფასად იყიდება პური, როგორც ქალაქის დუქნებში. იმედია, მომავალში უფრო კარგს სამსახურს გაუწევს ეს დუქნები მცხოვრებთ.

⁂ თელავისკენ საშინელი სიცივეებ დაუჭერია. ერთის კვირის წინად ძლიერი ქარიც ყოფილა.

⁂ შობა დღეს ქართულს თეატრში გაიმართა შობის ხე ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა შვილებისათვის. საღამოს 200-დე ბავშვი დაესწრო. საღამოს მეთაურად ბ ნ მათე იანგაშვილი იყო.

⁂ ამ ჟამად კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მდივანი ბ-ნი იოსელიანი ერევნის გუბერნიაშია სან-ლუის მსოფლიო გამოფენისთვის კოლლექციების შესაკრებად.

ახირებული წესი ყოფილა ტფილისის ფოსტაში. ვინც ადრე მიდის ფულის მისაღებად, ის ორსა და სამს საათს იცდის. ვინც გვიან—მას კი ჩქარა ეძლევა ფული. ალბად, აქაც ნაცნობობაა საჭირო. იმედია, ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიექცევა.

ჩვენებური ამბები

დ. ხონი. იყო დრო, როდესაც სოფლის მასწავლებელი მართლა ემსახურებოდა თავის მოვალეობას: გარდა თავისი სკოლისა, მასწავლებელი იყო სოფლის უვიც მცხოვრებლებისაც. ეს ის დრო იყო, როდესაც მასწავლებელს სოფელში ეხლანდელზედ მეტი გავლენა, გაბედულობა და მოხერხება ჰქონდა. ეხლანდელი სოფლის მასწავლებელი სკოლაშია შეკეტილი და მის გარეშე აღარას აკეთებს.

დღევანდელმა სოფლის მასწავლებელმა დაჰკარგა უწინდელი სიმძლავრე, გაბედულობა, მოხერხება და, მაშასადამე, ხალხზედ გავლენაც. დღეს, პირიქით, თვით იმყოფება ბრბოს გავლენის ქვეშ.

რა არის ამის მიზეზი? მასწავლებლის ნივთიერად დაქვეითება. დღეს ცხოვრება გართულდა, მოთხოვნილებამ იმატა, უფრო და უფრო მეტს ნივთიერს შეძლებას თხოულობს ცხოვრება. სოფლის მასწავლებელი-კი ღებულობს წლიურად 300 მან. მეტყვიან, სოფელში ცხოვრობს და, ქალაქზედ შედარებით, ცხოვრებაც უფრო იაფად უჯდებაო. ეს მეტის-მეტი შემცდარი აზრია. დღეს სოფელში უფრო ძვირი ჯდება ცხოვრება, ვიდრე ქალაქში. დასამტკიცებლად შემდეგს შედარებას მოვიყვან:

	ქალაქი	სოფელი
პური .	3 კ გირ.	5 კ. ხშირად 3-4 დღისა.
შაქარი .	15 კ.	20 კ.
ნავთი .	3—4 კ.	5—6 კ.
ღვინო.	20 კ.	25—30 კ.

ხორცის შოვნა ხომ სულ არ არის. ქათამი და კვერცხი, ჩარჩების წყალობით, თითქმის აღარ იშოვება. სულის საზრდოს ხომ სულ მოკლებულია მასწავლებელი სოფელში. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა გაჭირებას უნდა იტანდეს 300 მანეთიანი სოფლის მასწავლებელი.

ამ გარემოებას კიდევ ზედ ერთვის სხვა-და-სხვათაგან სოფლის მასწავლებლის აბუჩად აგდება.

ამას წინად ერთმა ინტელიგენტმა (უმაღლეს სასწავლებელში კურს დამთავრებულმა) ერთ ცნობილს მოღვაწეზედ მითხრა: «რა შეუძლია იმას, სოფლის მასწავლებლად ნამყოფიაო».

აი კიდევ: ერთს «ჩინოსანს» მსჯელობის დროს რაღაცაზედ არ ეთანხმებოდნენ, «ჩინოსანმა» დაიყვირა:—«მე თქვენისთანა სოფლის მასწავლებლები-კი არა, გუბერნატორი მიგონებსო».

ეს მაგალითები ცხადად გვიჩვენებენ, თუ რა წარმოდგენა არსებობს სოფლის მასწავლებლებზედ. როცა ყველა ამას ჰხედავს, მასწავლებელს გულით და გარმით ეცემა გული; თავის თავის ფასს ჰკარგავს, ყოველთვის დაჩაგრულად გრძნობს თავსა და აღარ შეუძლიან მტკიცე ხასიათი შეირჩინოს. ძვირად შეხვდები მასწავლებელს, რომ ქალაქ ადგილას გადასვლას არ სცდილობდეს სულ უბრალო ადგილზედ, თუნდ უბრალო გადამწერად. სოფლის მასწავლებელს რომ გაუუმჯობესდეს ცხოვრება, მიეცეს მასაც შეძლება რიგიანად ჩაცმა-დახურვისა, ჭამა-სმისა, სულიერ საზრდოს მოპოვებისა, მაშინ სულ სხვა იქნება მაშინ ასე აბუჩად ვერავინ აიგდებს მას. მაგრამ მოვესწრობით-კი იმ დროს, რომ საბრალო სოფლის მასწავლებელსაც შეეძლოს სთქვას: მეც კაცი ვარ და საზოგადოებაში ვურევივარო!?

მიხა.

სოხუმი. არც პატარა სოხუმმა დაივიწყა ცნობილი მწერალი და სიმართლისათვის მებრძოლი კოროლენკო. 15 დეკემბერს ამ მწერლის საიუბილეოდ გამართულ იქმნა აქაურის კლუბის დარბაზში სალიტერატურო და სამუსიკო საღამო.

საღამოს პროგრამა ასეთი იყო: კოროლენკოს ბიოგრაფიის გაცნობა, წაკითხვა რამდენისამე მისის რჩეულის თხზულებისა და შიგა და შიგ რამდენისამე გამოჩენილის კომპოზიტორის სამუსიკო თხზულების შესრულება.

სათეატრო დარბაზი სავსე იყო სოხუმის ეგრედ წოდებულ სუფთა საზოგადოებით. ცხრა საათზე აიხადა ფარდა და მაყურებელთ თვალ-წინ წარმოუდგათ სცენა, რომელიც წარმოადგენდა დაბურულს მტერს, ათას ფერ ყვავილებით აჭრელებულს. ავან სცენაზე დადგმული იყო კოროლენკოს სურათი, შემკული მწვანითა და ყვავილებით; მარჯვნივ სურათს ედგა კათედრა, საიდამაც ლექტორები კოროლენკოს თხზულებებს უკითხავდნენ ხალხს. პირველად წაიკითხა ბ-ნმა ვორონოვმა კოროლენკოს მოკლე ბიოგრაფია, შემდეგ წაკითხულ იქმნა ბ-ნ ბელიავსკის მიერ მოხუცი ზარის მრეკავი (старый звонарь) და «ლოცვა კოროლენკოსი». ბ-ნმა მარკოვიჩმა მშვენივრად წაიკითხა «მაკარის სიზმარი» (Сонъ Макара) და ქ-ნ მეცხოვრისამ წაიკითხა «ბრწყინვალე აღდგომის წინა ღამეს»

ფელეტონი

ღალატი

მოქმედება მეხუთე.

(შემდეგი *)

მდიდრულად მორთული ოთახი სოლეიმანის სასახლეში. სცენის სიღრმეში დოლაბივით კარაპანია, რომელსაც ფერადის შუშების კედელი აქვს და გაჰყავს კაცი აივანზედ, ანუ ტერასაზედ, მავრთა გემოვნების სვეტებით შემკულზედ. წყალგაღმა მოსჩანს მეტეხის კლდე, ციხის კედელი ბურჯებითა და სათოფურებით; აგრეთვე მეტეხის ტაძარი, სწორედ ისე, როგორც პირველს მოქმედებაში. კედლებზეა გაკრული ხალები, კამარებიანი ჭერი მოხატულია. კედლებს დატანებული აქვს უკარო ღრმა განჯინები და თითო განჯინაში თითო მაღალ-ყელიანი ქურქელი სდგას. ჭერიდან ჩამოკიდებულია ჯაჭვებით სასინათლო ლამპრები. კედლებთან მიდგმულია მბილი ტახტები, დაგებული ხალიჩებითა და ბალიშებით. ხალიჩებსა და ბალიშებზედ გადაფარებულ ოქრომკედითა და აბრეშუმის ძაფით ნაკერი ქსოვილები. მარცხნივ კედელთან სდგას დიდი სამეფო ტახტი და ზემოდან კედელზე მოფენილია იარაღი—დამბაჩები, ხმლები, შუბ-ნაჯახები და გრძელ-ტარა შუბები. მარცხნივ და მარჯვნივ კარები, შუას გარდა, სცენის პირველ პლანზეა. ოთახის შუაგულ აუზია ფერადის მარმარილოსი. ღამეა. ხშირ-ხშირად ელავს. ხანდახან ყრუდ მოისმის ძლიერი ჭექა-ქუხილი.

I

სოლეიმან-ხანი. მხარ-თეძოზეა წამოწოლილი.

ყარა-იუსუფი. წელში ოთხად მოხრილი სდგას მის წინაშე, როგორც შეშფერის ყურ-მოჭრილ ყმასა და მონას. სიღრმეში, აივანზედ, მოსჩანს ისახარი

სოლეიმან-ხანი. მზვერავთა რაზმებმა დღეს ბევრნი შეიპყრეს ქალაქის მახლობლად?

ყარა-იუსუფი.—ოთხმოც-და-ათი კაცი, მშვენებაო ქვეყნისაო. ეს-ეს არის ეხლა გიახლათ ოთარ-ბეგის შიკრიკი და მოიტანა ამბავი, მოვდივარ და მომყავს ორმოც-და-ათი კაცი შეპყრობილიო.

სოლეიმან-ხანი. რითი არიან შეიარაღებულნი შეპყრობილები?

ყარა-იუსუფი.—უფრო თავ-დალურსმულ კომბლებითა, ჩაქუჩებითა და ნამგლებითა. ხმალი და ხანჯალი ცოტასა ჰქონდა. თოფი ხომ სულ ოთხს აღმოაჩნდა.

სოლეიმან-ხანი.—და მერე მაგ იარაღით მოდიან... ჩემ საწინააღმდეგოდ?! რას ამბობენ ჩვენების ჩამორთმევაზედ? რად ვიკრიბებითო?

ყარა-იუსუფი.—რიგი მოგახსენებ—ჩემი საკუთარი საქმე მაქვსო, რიგს ასე უქნია, სავაჭრო საქმეზედა ვარ ჩამოსულიო, მძლეველო სამეფოთაო. მხოლოდ ერთმა ვერ აიტანა წამება და დაიწყო დამუქრებით ყვირილი... (იცინის).

სოლეიმან-ხანი. რაო, რას იმუქრებოდა?

ყარა-იუსუფი.—სისულელესა, მპყრობელო მპყრობელთაო! მიჰქაროდა, რომ ჯვარი დათრგუნავს ყველას, ვინც იმის წინააღმდეგ მიდისო... მოახლოვდა რისხვა ღვთისაო... აივსო ფიალა მოთმინებისაო... სიკვდილ წინად ხშირად იციან ასე ბურტყუნი (დაიქუხებს).

სოლეიმან-ხანი.—დედოფალმა მაცნობა დღესა, რომ ორბელიანი და სემბატი მოსკოველ მეფესთან გაიქცნენ, უნდათ შეავედრონ და შველა სთხოვონო.

ყარა-იუსუფი.—შორს არის მეფე მოსკოვისა, ძლევა მოსილო მპყრობელო ქვეყნებისაო.

სოლეიმან-ხანი.—კავკასიის იქით, ჩრდილოდ კერძოდ სცხოვრობს გოგი და მაგოგიო, სწერია ყურანში. მაგრამ ჯერ კიდევ შორს არის დასასრული ისლამისა!

ისახარი (აივნიდან). — აღარ არის შორს...

სოლეიმან-ხანი.—რა სთქვი, ისახარ?

ისახარი.—დედოფალი შორს აღარ უნდა იყოს მეთქი... თითქო მესმის შორიდან ცხენების თქარა თქურის ხმა.

სოლეიმან-ხანი.—ყარა-იუსუფ, დედოფალმა მაცნობა, რომ რამდენჯერმე დაეცნენ თავს ხარჯის ამკრებთაო, რომ ალრაზაკის მკვლელნი ჰბედავენ და პირში მაგინებენ, მაძაგებენო!

ყარა-იუსუფი.—დედოფალმა გაცნობათ? მე გადმომცეს ისინი, ბატონო და მე ვიცი, როგორც მოუგრეხ კისერსა (სჭუტავს თვალებს). მიბრძანეთ, თქვენს მზესა, რუქაიას-კი არაფერი უცნობებია?

სოლეიმან-ხანი. რუქაია მაცნობებს, რომ დედოფალს ეშინიან ოთარ-ბეგის ქალის სილამაზისაო. ოთარ-ბეგი ემუდარება დედოფალს, შეახსენე სოლეიმან ხანსა, რომ ფადიშაი იმის ქალს ზედაც არ შეჰხედავსო. ახლა-ხანს კიდევ მომივიდა ამბავი, დედოფალი აუტეხს რასმე იმ ქალის სილამაზესო. (დაცინვით) დედა-კაცის ფიქრი ის არის, რომ ვითომ ქვეყანაზედ იმის სილამაზის მეტი სხვა აღარა არსებობს-რა!

ყარა-იუსუფი.—დიდება შენსა გულთამხილაობას, თვალთო სიბრძნისა.

ისახარ.—დიდება შენსა გულთა-მხილაობას!

სოლეიმან-ხანი.—დაბრუნდა რაზმი, რომელიც ორბელიანის ბრბოთა გასაფანტად იყო გაგზავნილი?

ყარა-იუსუფი. —არა ჯერა, რისხვაო ურწმუნოებისა.

სოლეიმან-ხანი. - მესამე დღეს ვუბრძანე დაბრუნება და აგერ უკვე მეხუთე დღეა.

ყარა-იუსუფი.—მეხუთე გახლავთ, სავანეო სიმართლისა. თქეშმა და ქარიშხალმა გააფუჭა გზები, წყლები ადიდდა და წალეკა ქვეყანა...

სოლეიმან-ხანი.—მხდალო ძაღლო, მაგისთანა თქეშსა და ქარიშხალში გავცურე მდინარე ჰინდისა ათასის ბედუინით და სულ კუდით ქვა ვასროლინე ათასს სპილოს (ფიქრი წაიღებს). ეგ კია, რომ მაშინ მზე ბნელი არ იყო და შავად არ მეჩვენებოდა დღევანდელივითა.

ისახარი.—მზე ისევ ბრწყინვას დაიწყებს.

სოლეიმან-ხანი.—რას ამბობ, ისახარ?

ისახარ.—იმას მოგახსენებ, რომ მზე ისევ ბრწყინვას დაიწყებს მეთქი... ამაღამის ჭექა-ქუხილს შემდეგ.

სოლეიმან-ხანი.—ღრუბლები-კი არ გადაჰფარებია, ის-კი არ აბნელებს, არამედ ღალატი! (გულდამშვიდებით). ყარა-იუსუფ, რასა გწერს სარდალი ერევნისა?

ყარა-იუსუფი. (მკვდრის ფერი დაედება შიშითა, ხმა ვეღარ ამოუღია. მუხლები უკანკალებს).

სოლეიმან-ხანი. ([illegible] ცივად ეკითხება კვლავ და არ-კი უყურებს). რასა გწერს სარდალი ერევნისა?

ყარა-იუსუფი.—მოც... მოცილეო ვარსკლავთა, მე წერილი არ მიმიღია...

სოლეიმან-ხანი.—მაშ, ახლა მიიღე... დიდი ხანია ელოდი ამ პასუხსა. (აძლევს წერილს. ყარა-იუსუფს ფეხები უკანა რჩება, მაგრამ მაინც ვაი-ვაგლახით მიუახლოვდება, გამოართმევს წერილს და ფეხ-ქვეშ ჩაუვარდება სოლეიმანს).

ისახარ (თავისთვის).—სახლს რომ ცეცხლი გაუჩნდება, ვირთაგვები გარბიან ხოლმე (ხმა-მაღლა). ხელმწიფეო, დაუძახო ჯალათსა?

ყარა-იუსუფი. (ძლივს ლუღლუღებს).—სამკაულო... ნათელო ქვეყნიერებისაო... მოღალატე არა ვარ... მინდოდა მხოლოდ შემეტყო იმათი განზრახვა... შემიწყალე.

სოლეიმან-ხანი. რადაო? (დაუშქერს).

ყარა-იუსუფი (ფორთხავს მის ფეხთქვეშ). შენი მონა ვიყავი, მოსამსახურე... შემიწყალე!

სოლეიმან-ხანი. მე შენ გკითხავ—რადა მეთქი? სად არის შენი სიბრძნე, ყარა-იუსუფ, ვეზირო ჩემო? იქვეა, სადაც ერთგულება განა?

ისახარი. დავუძახო ჯალათებსა, ხელმწიფეო?

სოლეიმან-ხანი (ფიქრში წასული და თავპირ ჩამობნელებული). ჰღირს განა სიცოცხლე ხვეწნა-ვედრებად? ყოველივე გარდავა, გაჰქრება, არ არსებობს დრო და ჟამი, არსებობს მხოლოდ საუკუნოება, რაც გუშინ იყო, დღეს აღარ არის. რაც ხვალ იქნება, ორ დღეს უკან ისიც გაჰქრება. აღარ არის უკვე ის, რაც გითხარი, როცა ლაპარაკი დაგიწყე. მაშ, რად გინდა შეწყალება? ყოველივე გადაივლის, გაჰქრება.

ყარა-იუსუფი. გაუწყებ, გეტყვი შენის მტრების ყოველსავე ღვარძლილობას, ბოროტს ზრახვას (უკოცნის ფეხებს).

სოლეიმან-ხანი (ზიზღით). მითხარი.

ყარა-იუსუფი (გიჟივით შეჰყვირებს სიხარულით აღტაცებული). მპყრობელო ქვეყნიერებისაო, ყველაფერს მოგახსენებ. მალე მოვა აქ ელჩი ფადიშასი. ჩვეულებისამებრ ციხის გარედ უნდა მიეგებო. უნდათ აგკუწონ, ხელმწიფეო.

სოლეიმან-ხანი. ნაადრევად მეუბნევი

(Ночь подъ свѣтлое воскресенье). პიანინოზე სხვათა შორის დაუკრეს «ბაიათი,“ მაგრამ ბაიათის მაგივრად რაღაც დაცინვა გამოვიდა ქართულის მუსიკისა. მომღერალთა შორის ყველაზე უფრო მოეწონა ხალხს ქ-ნი დოლგოპოლსკაია, რომელიც იძულებული იყო რამდენიჯერმე გამოსულიყო «ბისზე»

ცა—ცა.

კავკასია

ნოვოროსიისკის მომრიგებელ მოსამართლემ 9 დეკემბერს ერთი საყურადღებო საქმე გაარჩია შესახებ ერთის კაცის, რომელიც «ძველის წესის» ეპისკოპოსად იწოდებოდა. პოლიციის პროტოკოლიდგან სჩანს, რომ 12 მაისს ჩასულან ნოვოროსისკს ვიღაც ბერები და სასტუმროში დამდგარან. სასტუმროს პატრონს რაღაც ეჭვი აღძვრია და პოლიციისათვის უცნობებია. პოლიცია მისულა და რამდენიმე კაცი უნახავს, ზოგი ეკატერინოსლავის გუბერნიისა და ზოგიც ყუბანის ოლქის მცხოვრებნი. ერთის გარდა ყველას უთქვამთ, ჩვენ ძველის სარწმუნოების მიმდევარნი ბერები ვართო. პოლიციელთ რაღაც თუნუქის ყუთი დაუნახავთ, ხოლო სხვებს არ გაუსინჯებიათ. ბოლოს პოლიციას მაინც აუხდია ყუთი და აღმოუჩენია ეპისკოპოსის მიტრა, ორ და სამ სანთლიანი შანდლები, საეკკლესიო შესამოსი და ხელთნაწერი ლოცვანი. ერთი იქ მყოფთაგანი გვარად მონოკოვი, როგორც ქაღალდებიდან აღმოჩნდა, იწოდებოდა ძველის სარწმუნოების ეპისკოპოსად, კავკასიის ეპარქიისა. მონოკოვმა სთქვა, მე ჩემს სამწყსოში ვმოგზაურობო. პოლიციამ პროტოკოლი შეადგინა და სასამართლოს გადასცა.

საქმის გარჩევის დროს მონოკოვის ადვოკატმა, სხვათა შორის, სთქვა: მონოკოვს აბრალებენ, რომ იგი უწოდებს თავის თავს კავკასიაში მყოფ ძველის წესის მიმდევართა ეპისკოპოზ თეოდოსეთ და ამით ვითომც რაღაც ხარისხს ითვისებსო. ხოლო ძველის წესის მიმდევართ სამღვდელოება არა ჰყავთ და, მაშასადამე, არც რისამე მითვისება შეეძლებოდათ. საარტისტო ორდენები რომ დაიკიდოს ვინმემ ან არ არსებულის წოდებით მოიხსენიოს თავისი თავი, განა ეს დანაშაულობაა? ამას გარდა კანონით ძველის სჯულის მიმდევართ არა აქვთ აკრძალული ილოცონ თავის წესით თავიანთ სადგომებში, ოღონდ-კი თავისი სჯული ხალხში არ გაავრცელონო.—მოსამართლემ მონოკოვი გაამართლა და დაადგინა დაუბრუნოს გაჩხრეკის დროს წართმეული ნივთები.

რუსეთი

რუსეთის ქირნახულს, რომელიც დიდიხანია, მრავლად გააქვთ ევროპაში, ბაზარს ატოვებინებს ამერიკის ქირნახული, თუმცა რუსეთს ევროპა ზედ აკრავს და ქირნახულის გადაზიდვა უფრო ადვილი და იაფი უნდა იყოს. ოფიციალურის ცნობებიდგან სჩანს, რამდენი ქირნახული შეაქვს ევროპაში რუსეთსა და ამერიკას უკანასკნელი თხუთმეტის წლის განმავლობაში:

	რუსეთი	ამერიკა
1886—1890 წ.	322,132,000 მ.	271,150,000 მ.
1890—1895 წ.	275,193,000 მ.	316,610,000 „
1895—1900 წ.	314,130,000 მ.	495,276,000 „

რუსეთს ვაჭრობას-კი არ მოჰმატებია, არამედ შესამჩნევად უკლია; ამერიკის ვაჭრობა-კი თანდათან ძლიერდება. სადაც-კი რუსეთისა და ამერიკის ქირნახული ერთი-ერთმანეთს უახლოვდებიან, ამერიკისა თურმე სძლევს. ამას გარდა ამერიკელები თვის ნაწარმოების გაყიდვის დროს თვით აიძულებენ მყიდველს იმათ პირობებს დასთანხმდეს. რუსეთის ვაჭრები-კი ისე ჰყიდიან, როგორც მყიდველი მოსთხოვს. ამის გამო ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ამერიკელი ვაჭარი მოგებითა ჰყიდის ქირნახულს, რუსი-კი იძულებულია თურმე ზარალითაც დაუთმოს. ამის მიზეზი უფრო ის არის, რომ ამერიკელი ბევრად განვითარებულია და ვაჭრობაშიც დახელოვნებული, იცის როგორ მოაწყოს საქმე და სად როდის მიაწოდოს თვისი ნაწარმოები. რუსი-კი ადგია ერთხელვე გაკვლეულ გზას, არ კითხულობს, სად უფრო დიდი მოთხოვნილებაა ქირნახულისა, და ამ რიგად მილიონობითა ზარალობს.

უცხოეთი

იაპონია. რას თხოულობს იაპონია და შესაძლოა რუსეთმა დააკმაყოფილოს იგი, თუ არა? ამაზე დიდი მითქმა-მითქმაა ევროპის მწერლობაში, მაგრამ ნამდვილი-კი ვერავინ შეიტყო. ეხლა, ვითომ ნამდვილ წყაროდამ, შემდეგს ცნობებს იუწყებიან: იაპონია უკანასკნელად თხოულობს რომ კორეაში იაპონიას სრული თავისუფლება ჰქონდეს და რუსეთმა მტკიცედ შეასრულოს თვისი დაპირებანი: 1, ჩინეთის სამფლობელოდგან გამოიყვანოს ჯარი; 2, რკინის გზის ლიანდაგს დარაჯად იმდენი კაცი დარჩეს, რამდენიც ამისათვის მართლა საჭიროა; 3, ჩინეთის მოხელენი დაბრუნდნენ მანჯურიასა და კერძოდ ნიუ-ჩუანგში, 4, მანჯურია ღია იყოს საერთაშორისო ვაჭრობისათვის და 5, იაპონიასა და საერთოდ ყველა სახელმწიფოს ჰქონდეს ნება რკინის გზები გაიყვანოს მანჯურიაში. იაპონიას სურს კორეიას რკინის გზები შეაერთოს რკინის გზებთან ჩრდილო-ჩინეთში და ლიანდაგი განაგრძოს ი-ჩჟუ-ნიუ-ჩუანგამდე. ამას გარდა იაპონიას უნდა საკონსულოები დააარსოს მუკდენსა და მანჯურიის სხვა ქალაქებში.

რა პასუხი შეუთვალა რუსეთმა ჯერ არ ვიცით, ხოლო ამ პასუხით იაპონია კმაყოფილი არ არის და ხელახლა სთხოვს რუსეთს შენი პასუხი შესცვალეო, როგორც-კი შესაძლოა, რომ მოლაპარაკება აღარ გავაბათ და ეხლავე, ავად თუ კარგად, ბოლო მოვუღოთ ჩვენს უთანხმოებასაო.

საფრანგეთი. ეროვნულ თავმოყვარეობას საფრანგეთში მეცნიერებამაც ხელი შეუწყო, თითქმის არ გავა წელიწადი რომ საფრანგეთის მეცნიერებმა ახალი რამ არ აღმოაჩინონ და კაცობრიობა არ გააოცონ. უკანასკნელ ხანს სალაპარაკოდ გამხდარა ცოლ-ქმარ კიურის მიერ აღმოჩენილი ახალი ლითონი რადი და მისი მრავალ-გვარი თვისებანი, რომელნიც მეცნიერებას ახალს კვალს უჩვენებენ ბუნების უხილავ ძალთა გამოსაკვლევად. თუ ეხლა ცოლ-ქმარ კიურის აღმოჩენით ამაყობენ ფრანცუზები, წინად ამ ცოლ-ქმარს თითქმის არავინ ყურადღებას არ აქცევდა და ამის გამო დიდი გაჭირება და სიღარიბე გამოუვლია. მხოლოდ ეხლა გაახილეს თვალი და მეცნიერ-გამომკვლეველთა მდგომარეობას მიაქციეს ყურადღება. აღმოჩნდა, რომ არა მარტო ეს ცოლ-ქმარი, არამედ სხვა მკვლევართა უმეტეს ნაწილს ასეთივე გაჭირება გამოუვლია, ვიდრე დიდის ხნის მეცადინეობის შედეგით სახელს გაითქვამდა. ეხლა ყველამ იგრძნო და შეიგნო, რომ ამგვარ საქმეს ხელის შეწყობა უნდა არა მარტო საზოგადოებისა არამედ სახელმწიფოს მხრივაც. დეპუტატმა ჟერო რიშარმა პარლამენტს მოხსენება წარუდგინა ამ საგანზედ და თხოულობს 150,000 ფრანკი გადიდოს კიურის ლაბორატორიის დასარსებლად. საფრანგეთს ჟურნალისტებმა დაადგინეს ამავე საგანს მოხმარედეს 60,000 ფრანკი იმ თანხიდგან (100,000), რომელიც მდიდარ ეგვიპტელმა ოზირისმა შესწირა სამეცნიერო გამოკვლევისათვის. კერძო კაცებიც უხვად სწირავენ ამ საქმეს. პარიჟის უკანასკნელ მსოფლიო გამოფენის გამგე კომისარი სცდილობს ამავე საქმისთვის მთლად გადიდოს წმინდა მოგება გამოფენისა, 7,000,000 ფრანკამდე. გაზეთები თხოულობენ ამავე საქმეს მოხმარდეს ის 4—10 მილიონი, რომელიც სახელმწიფოს უანდერძა სავოეში გარდაცვალებულმა დიუფრენმა. ამრიგად საფრანგეთში გულმოდგინედ შესდგომიან დიდის ფონდის დაარსებას სამეცნიერო გამოკვლევათათვის და იმედოვნებენ, რომ მომავალში ამ საქმეს შესაფერად მოაწყობენ.

იტალია. ახალ პაპს პიო X-ს განუზრახავს რეფორმები შემოიღოს დედათა მონასტრებში. პაპი არამც თუ მომხრე არ არის პირიქით წინააღმდეგიცაა დედათა მონასტრების გავრცელებისა. ვენეციის პატრიარქად რომ ყოფილა, თავის დებს უშლიდა თურმე მოლოზნად აღკვეცას და საერთოდ თავის აზრს არავისთან არა ჰმალავდა დედათა მონასტრების შესახებ. მოლოზნად უნდა მიიღონ მხოლოდ მსწავლული და განვითარებული ადამიანი და ისიც დიდის ხნის გამოცდის შემდეგო. დაჭეშმარიტებით ამბობენ, რომ პაპი ჰფიქრობს დედათა მონასტრების თვითმართველობა შეზღუდოს და დედათა მონასტრების გამგებლობა ხნიერსა და დარბაისელ ბერებს ჩააბაროს.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების კომიტეტმა შაბათს 27 დეკემბერს გამართა თბილისის სკოლების მოსწავლეთათვის წარმოდგენა. წარმოადგინეს ნ. გოგოლის უკვდავი კომედია «რევიზორი».

ბავშვები ძრიელ ნასიამოვნები დარჩნენ წარმოდგენით და ალტაცებით მიეგებნენ მსახიობთა თამაშობას, მეტადრე ვ. აბაშიძე (გოროდნიჩი) ძრიელ მოეწონათ.

კვირას 28 დეკემბერს წარმოადგენილი იქმნა დაკლებულ ფასებით დ. ერისთავის დრამა „სამშობლო».

ჩვეულებრივად კარგი იყო კ. ყიფიანი სვიმონ ლეონიძის როლში. მისი „აღთქმა არ დაგვიწყდეს“ მართლაც რომ მაყურებლის სულს და გულსა სწვდება. დანარჩენებიც მწყობრად თამაშობდნენ. ვ. გუნია თავისებურად თამაშობს შაჰ-აბაზის როლს და ჩვენის აზრით, მართალს ტიპს აღმოსავლეთის მტარვალისას ვერ იძლევა. მისი შაჰი ძრიელ გაუკეთილშობილებია ტანჯვას, შვილის ავად-მყოფობით გამოწვეულს, და ჩვენ ვერ ვხედავთ მტარვალს, თავ-შეუკავებელს, რომელმაც იმდენი საზიზღარი, მხეცური ტანჯვა მიაყენა დაპყრობილ ქვეყანას. ხალხი „სამშობლოს“ ბევრი დაესწრო.

27-ს დეკემბერს შემთხვევით ვიყავით ავჭალის სახალხო აუდიტორიაში. ტფილისისთვის სრულიად ახალი ამბავი ვნახეთ. ქნი ა. პ. შულგინა-მესხის თაოსნობით და ხელმძღვანელობით, წარმოდგენილ იქმნა საბავშვო ოპერა „შვიდი თიკანი“ (СЕМЬ КОЗЛИКОВЪ) ხუმპერდინკისა; მონაწილეობას იღებდნენ თვით ქ-ნ მესხის მოწაფენი და რამდენიმე სხვანიცა. თუმცა ავჭალის პატარა აუდიტორია სრულიად შეუფერებელია ამისთანა წარმოდგენისათვის, მაინც ოპერამ მშვენიერად ჩაიარა, რას უნდა მივაწეროთ გულ-მხურვალე მონაწილეობას თვით მომღერლებისას, რომელთაც მშვენიერი და სიმპატიური ხმები აქვსთ, და აგრეთვე თვით ამ ძრიელ სიმპატიურის საქმის თაოსნის.

სასურველია, რომ იმათ, ვინც გულ-მხურვალე მონაწილეობას იღებენ ავჭალის სახალხო აუდიტორიის საქმეებში, ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ამ ახალსა და დიდად სასიამოვნო საქმეს და შეძლების და გვარად ყოველის მხრივ ხელი შეუწყონ.

წერილები

რედაქციის მიმართ

1903 წ. «ივერიის» 223 №-ში ბატონი ცინაძე ბრძანებს: გ. პეტროვსკში ბ. კოლოშვილმა ხუთ თუმნამდის შემოწირულება შეკრიბა კავკავის ქართულ სკოლასთან დარბაზის ასაშენებლათ და ხსენებულ დარბაზის საამშენებლო კომიტეტმა-კი შემომწირველთა სია არ გამოაცხადა გაზეთშიო. ეს მეორე საყვედური გვესმის ამსაგნის შესახებ გაზეთის საშუალებით ქ. პეტროვსკიდგან. ამის შესახებ ბატონ ცინაძეს შემდეგს მოვახსენებ: კავკავის ქართულ სკოლასთან დარბაზის ასაშენებლად შემოწირულების შესაკრებათ მე ვგზავნიდი საიმედო პირებთან ხელის მოსაწერ ფურცლებს და მევე ვიღებდი ფულებს, როგორც საამშენებლო კომისიის ხაზინადარი.

ქ. პეტროვსკში ორი ფურცელი გავგზავნეთ, ერთი პატივცემულ მ. ი. მარიამულს, რომელმაც ხუთი თუმანი შეკრიბა და გამოგვიგზავნა, შემომწირველთა სია გაზ. «ცნ. ფურ.»-ში იყო გამოცხადებული. მეორე ბ. კოლოშვილს. ბატონი კოლოშვილი კავკავში გავიცანი, თითონვე აღუთქვა დახმარება და შემწეობა. ქ. პეტროვსკის მღვდელმა მ. ი. შანავაძემაც მითხრა ბ. კოლოშვილი, როგორც საიმედო პირი; ამისდა მიხედვით ბ. კოლოშვილსაც გაუგზავნა ხელის მოსაწერი ფურცელი. როგორც კერძოდ მესმოდა, ბ. კოლოშვილს შეუკრიბნია კიდეც ხუთ თუმნამდის შემოწირულება. მე რამდენჯერმე წერილით ვთხოვე ბ. კოლოშვილს, დაებრუნებინა ჩვენთვის ფურცელი და შეკრებილი ფული, მაგრამ დღემდის არც ერთი და არც მეორე არ მოგვიდია და, როდესაც მივიღებთ, უეჭველად გამოვაცხადებთ შემომწირველთა სიას.

მღ. გ. ნათაძე.

შემოწირულება

შოთა რუსთაველის ძეგლის სასარგებლოდ ჩვენ მივიღეთ ბ-ნ თ. ჯანყარაშვილისაგან სამი მანათი და ბ. ყიფშიძისაგან ერთი მანათი.

„ივერიის“ ფოსტა.

ნ. ჩ—ძეს თქვენი ლექსები „ვიხილე სატრფო“ და „მაშინ მინდა მეგობარი“ არ დაიბეჭდება.

ქუთაისი X—სს. გვაცნობეთ ვინაობა გმირებისა.

სარაჯამიში დ. ძ-ძეს. თქვენი წერილი რედაქციის მიმართ არ დაბეჭდება. მაინც თქვენს

მავას, ყარა-იუსუფ (წამოდგება და გულ-დამშვიდებით). გამომყე (მივა აივნის კარებთან და გააღებს). შენ ჩემთვის საჭირო აღარა ხარ, ყველაფერი სთქვი უკვე. აღსრულდეს მართლ-მსაჯულება. ჩემის ღალატისათვის შენ დაიმსახურე სიკვდილით დასჯა, ხოლო იმათის ღალატისათვის—შეწყალება. ალლაჰი გადასწყვეტავს, ვინ გაიმარჯვებს. თუ მოკვდები, მე დავრჩები გამარჯვებული, თუ ცოცხალი გადარჩები და ისინი. აი შენი გზა (ანიშნებს ძირს მდინარეს).

ყარა-იუსუფი. ხელმწიფეო, იქ ღურღუმია! წვეტიანი კლდეებია... ეგ სიკვდილით დასჯაა, მპყრობელო ქვეყნიერებისაო!

სოლეიმან-ხანი. თუ ხსნა გიწერია, გადარჩები სიკვდილს... (იუსუფი ფეხ-ქვეშ ჩაუვარდება). სიტყვა ჩემი ხმალია ჩემი! (ყარა-იუსუფი გადავარდება მდინარეში).

ისახარი. ეს მეორე! ძირსა სცვივა შხამიანი ფოთლები!

II

სოლეიმან-ხანი (ძირს ჩაიცქირება). დაიღუპა! დაიღუპებიან ჩემი მტერნიცა (ხელს გაიწვდის მეტეხისაკენ). ვიდრე მეტეხი ტფილისს დასცქერის, ვერავინ-რას დამაკლებს.

ისახარი. გაუფრთხილდი მეტეხს, ხელმწიფეო! გაუფრთხილდი მეტეხს!

სოლეიმან-ხანი (მოტრიალდება და აცქერდება ისახარს). რა სთქვი?

ისახარი. მე მოგახსენე, მეტეხს გაუფრთხილდი-მეთქი. იქ არის მთელი შენი ჯარი. იქ არის მთლად შენი ტყვია-წამალი. გაუფრთხილდი მეტეხს. შენ ამბობ, არც დროა, არც ჟამიო, არის მხოლოდ საუკუნოებაო. მაინც ჯერ მეტეხს გაუფრთხილდი!

სოლეიმან-ხანი (ხელში სტაცებს ხელს). სთქვი, ბებერო, თუ იცი რამე!

ისახარი (უგულოდ იცინის). ხელმწიფეო! ჩემს ძვლებს დიდი ხანია სამარე ენატრება, ჩემს ხორცს წამებისა არ ეშინიან. სანანური აღარა მაქვს-რა ამ ქვეყნად. დიდი ხანია ქვათა ვარ გადაქცეული. რითი შემაშინებ?

სოლეიმან-ხანი (უფრო ძრიელ უჭერს ხელს). რა იცი-მეთქი?

ისახარი. უძლეველო სოლეიმან! ნახევარ ქვეყნიერობასა სძლიე, მაგრამ მე-კი ვერა მძლევ. როგორა სძლევ არარას? მე არარა ვარ.

სოლეიმან ხანი (ხელს გაუშვებს). არარა?

ისახარი. შენც ჩემსავით არარა გახდი და შიში აღარ გექნება აღარც სიკვდილისა და წამებისა, აღარც ღალატისა და აღარც ფადი-შასი. მეც მეშინოდა, როცა მებადა რამე; რასაც უნდა გავფრთხილებოდი. მყავდნენ შვილები და ვშიშობდი მათთვის, მყავდნენ ქალები და ვუფრთხილდებოდი მათს სახელსა და ნამუსს, მქონდა სახლი და მიყვარდა ჩემი სახლი და კარ-მიდამო... ჩემი შვილი გასრისეს...

სოლეიმან-ხანი. შენი შვილი?

ისახარი. დიაღ..., ამოდენა იქნებოდა.

სოლეიმან-ხანი. როდის იყო ეგა?

ისახარი. დიდი ხანია. ჩემს ქალებს ნამუსი აჰხადეს. სახლი, ოჯახი დაქცეულია. ახლა სულ თავისუფალი ვარ: არა მაქვს-რა და მეც თვითონ არარა ვარ. (იცინის). არც ღალატია საჭირო, არც ბრძოლა... მხოლოდ ცდაა საჭირო.

სოლეიმან-ხანი. ბებერო, დაანებე თავი მაგ სულელობას. სთქვი, რა იცი?

ისახარი (გადიხრება მისკენ). წადი მეტეხში. იქ შიში არაფრისაა. შენი მხედარნი იქ არიან. ცოცხლები იქ ვერას გავნებენ. ხოლო მკვდარნი... (ანიშნებს დრუბლებს მეტეხის თავზე). ისინი აიმ დრუბლებში არიან. ისინი მეტეხს დასტრიალებენ თავს. იმათი დაძლევა მაინც, სულ ერთია, არაფრით შეიძლება.

სოლეიმან-ხანი (უნებურად შეკრთება). შენ სიცხე გაქვს და ჰბოდავ, მგონი.

ისახარი. იმათი დაძლევა არ შეიძლება, საწყალო, უძლეველო სოლეიმან. ხალხისა კი თუ გეფიქრება, მეტეხში წადი (შემოდის ზეინაბი და ოთარ-ბეგი ჩაფხუტით, რომელსაც ლოლბანდი აქვს გარშემოხვეული).

III

ზეინაბი (გაექანება და ფეხქვეშ ჩაუვარდება სოლეიმანს). ძლივს, ძლივს მეღირსა და კვლავ ვეხვევი შენს მუხლებს, ჩემო ხელმწიფეო! ოჰ, წყეულიმც იყოს დღენი ჩემის მოშორებისა შენგან! ვერც გრიგოლმა და ვერც თქემმა ვეღარ დამაკავა შენს ნახვას მოწყურებული.

ოთარ-ბეგი (შემოსვლისთანავე დაიჩოქებს). ძლევა და გამარჯვება ნუ მოგაკლოს, ძლიერო ხელმწიფეო.

სოლეიმან-ხანი (გულ-დამშვიდებით და მედიდურობით). კეთილი იყოს შენი დაბრუნება, ზეინაბ (ზეინაბი ხელზე აკოცებს და ფეხზე წამოდგება). ვინ მოჰკლა ალ-რაზაკი?

ზეინაბი. რუქაიამ. მოჰკლა და გაიქცა.

სოლეიმან-ხანი (დააცქერდება ზეინაბს). როდის?

ზეინაბი. ამ ორის საათის წინად ვნახე უკანასკნელად, როცა ერთი მუქარა გზაღა გვქონდა დარჩენილი ტფილისამდე. სამს დღეს იავადმყოფებდა თავს ის გველი, ისა! საღამოჟამდებოდა, როცა გამოვემართეთ ქალაქისაკენ. რუქაია სულ შეფოთავდა და სულ წყალსა თხოულობდა, დამალევინეთო. დარაჯნი, საპატიო დარაჯნი ჰყავნდნენ მიჩენილნი. ვერ გავბედე და ბორკილები ვერ დავადებინე, შენ გებრძანებინა, ზეინაბს თვალი არ მოაშოროო, გამუდმებით ჰზვერეო. ან იქნება გგონია, რომ მე ვერას მივხვდი?

სოლეიმან ხანი. გაგექცათ მაშინ, როცა ათასი ჯარის-კაცი თანა გყავდათ? ოთარ-ბეგ!

ზეინაბი.—მე ჰაგის ქალს ვუგდებდი ყურსა, ხელმწიფეო, ოქროსა და ვერცხლსა, პატიმართა, მერე თვით მაგასაცა. ვეღარას გავხდი... მოვიდალე, მგზავრობამ ცალკე დამტანჯა, შენმა დარდმა და ნაღველმა კიდევ ცალკე... მე შენს ნახვას ვისწრაფოდი... სადღა მეცალა, რომ საზიზღარ მონასათვის, ჩემის მზვერავისათვის მეგდო კიდევ ყური. გეფიცები სოლეიმან, შენი სურვილი რომ კანონი არ იყოს ჩემთვის, გარყვნილი რუქაია შენ ფეხთ წინ ეგდებოდა ბორკილებ-დადებული. მაინცა და მაინც ციხის კარს რომ მოვუახლოვდით, ერთხელ კიდევ მივედი მის ჩარდახიან ურემთან და იმის ამბავი მინდოდა გამეგო ურემი ცარიელი-კი დამხვდა. ვხედავ, ერთს დარაჯს აღარც ნაბადი ასხია და აღარც ყაბალახი აქვს. მაშინვე ვუბრძანე იმისი შეპყრობა და თვალებსა და ლაპარაკზედ შევატყე, რომ შენს საყვარელს და შენის ნდობით მოსილს რუქაიას შეეცდინა!

სოლეიმან-ხანი.—რუქაიამ თვით მოჰკლა ალ-რაზაკი? შენ თვითონა ჰნახე?

ზეინაბი.—არა, ხელმწიფეო. მკვლელი გაიქცა. შევიპყარით იმისი მამა და... (ხმა შეუკანკალდება) ძმა. (აჩქარებით დაუწყებს ლაპარაკს და სეტყვასავით აყრის სიტყვებს). შებოჭილ-შებორკილებულები მოვიყვანე და ვუბრძანე დილამდე მეტეხის ციხეში ჰყავდეთ. ან იქნება ეხლავე ინებო და ჩვენება ჩამოართვა? ვუბრძანებ დაუყოვნებლივ მოიყვანონ (უნდა წავიდეს ბრძანების მისაცემად).

სოლეიმან-ხანი.—ეგ მერეც მოესწრება.

ზეინაბი.—ოჰ, უნდა გენახა რუქაიას გველური თვალები, როცა დამნაშავეებს ვაპატიმრებდით. ნეტავ გაგეგონა იმის მოჯადოვებულის ტკბილებით შეზავებულის ხმის მიმოქცევა... მაშინვე ენაზე ვიკბინე და ეჭვმა ელვასავით გამიარა თავში... მაგრამ იმის თვალები ამას ამბობდა —მე თვით მეფისაგან ვარ მოჩენილი შენდა საზვერავადაო... (იცინის ბოროტის სიცილით). თითქო არ შეიძლებოდეს ნდობა დედოფალ ზეინაბისა! თითქო შენს თვალ-წარბში ცქერა, შენი სუნთქვა, შენის წამწამების მოძრაობა მუდამ კანონი არ იყოს საწყალ ზეინაბისათვის... ამიტომ ხელი ვერ ვახლე შენს გარყვნილს რუქაიას... ახლა ხომ დაინახე, ვის მიანდე თვალი ედევნებინა ჩემთვის?! ოჰ, რა შეურაცხყოფაა! თუ-კი აგრე ენდობოდი რუქაიას, რატომ მარტო იმას არ მიანდე...

სოლეიმან-ხანი.—საჩუქრები შეაგროვე?

ოთარ-ბეგი.—სულ, ხელმწიფეო. ოქრო, ვერცხლი, ცხენები და ქალწულნი... ყოველივე მეათე დღესვე მზად გახლდათ.

ზეინაბი.—ხელმწიფეო, ყოველივე საჩუქარი ღირსია უმაღლესის კარისა. მაგრამ ქალი, ამისი ქალი! ოჰ, ბატონო, ირანის მფლობელი ერთის იმის შეხედვისათვის შეკრულ-შებოჭილს დაამხობს შენ ფერხთა ქვეშ ერევნის სარდალსა... ყველა საჩუქარის დათვალიერებას ხვალაც მოასწრობ, მაგრამ ქალი-კი ეხლავე ჰნახე. მიბრძანებ შემოვაყვანინო? (სოლეიმანი თავს უქნევს ნიშნად თანხმობისა) ოთარ-ბეგ! (დიდ-მნიშვნელოვნებით) შემოიყვანე შენი ქალი და დააყენე ყარაულით... ცხენებსა და ბარგს. ისახარ, წაჰყევი და ერთად მოიყვანეთ ქალი (ოთარ-ბეგი და ისახარი მიდიან).

(დასასრული მეხუთე მოქმედებისა ხვალ)

გრ. ყიფშიძე.

ნაშრომს ნუ მოგვაკლებთ, აგრეთვე ვერ დაიბეჭდება საახალწლო ფიქრები.

ქ. ბათომში. ჩ. ჩ-ძეს. თქვენ წერილებს ამ დღეებში გაარჩევენ და პასუხს მაშინ მოგცემთ.

ფოთს. ბ-ნს „ისაჲარ“-ს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

სურამის სამკითხველოს. გადაწყვეტილია, რომ 7 მან. ნაკლებ არ დაეთმოს არც ერთს სამკითხველოს.

მლეთს. არ-ნოვს. თქვენის თხოვნით მიჰმართეთ წ. კ. საზოგადოებას.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 დეკემბერი.

მინსკი. ბორისოვში დაარსდა ცეცხლისაგან დამზღვევი საურთიერთო საზოგადოება.

მოსკოვი. ლოკომოტივების მკეთებელი ქარხანა დღესასწაულობს მეასე ლოკომოტივის გაკეთებას.

ოდესსა. გემს «ცარიცა»-ს ნავთსადგურში დაეჯახა გემი «ნივერნე» და არა «ნიობე». «ნივერნეს» მგზავრები შიშის ზარმა შეიპყრო და ზღვაში გადაცვივდნენ. 100 კაცი დაირჩო. «ცარიცა» დუზას მოსხვდა და ნაპირას გაირიყა. შვიდასამდე მგზავრი მაჰმადიანი მლოცველნი გადარჩნენ. «ცარიცა» და ძალიან დაზიანებული «ნივერნე» გემებმა სტამბოლის ნავთსადგურში მიიტანეს; დაზიანებულ გემის შეკეთებას რამდენიმე კვირე დასჭირდება.

რომი. იაპონიის გემები „ნისსინ“ და «კასსუგა» დილის 4 საათსა და 30 წუთზე გავიდნენ ზღვაში.

ფილადელფია. იაპონიამ შეიძინა კრამპის გემთსაშენებელში ოსმალეთის კრეისერი «მეჯიდიე»; იაპონიამ რუსეთზე 2½ მილიონ დოლარით მეტი შეაძლია და დაინარჩუნა.

ტოკიო. იაპონიის მთავრობა აცხადებს: უსაფუძვლოა ხმა ვითომც ჩვენ კორეაში ჯარი გაგვეგზავნოსო.

პარიჟი. საფრანგეთის ელჩი ბელგრადში დროებით სამსახურს დაეთხოვა და სეულს გაემგზავრა.

ჩემულპო. აქ მოელიან საფრანგეთის კრეისერს „პასკალს“.

ბელგრადი. პოლიტიკოსნი მოელიან, რომ ეხლანდელი კაბინეტი შეიცვლება პაშიჩის კაბინეტით.

პარიჟი. დეპუტატი-ნაციონალისტი ასსარი აცხადებს, მთავრობას შევეკითხოთ ელზასელ დეპუტატის დელსორის ლუნევილიდან გაძევების შესახებო. ნაციონალისტების გაზეთებმა გაილაშქრეს მთავრობის წინააღმდეგ, რადიკალების გაზეთები-კი მთავრობას ამართლებენ. დელსორს ლუნევილში უნდოდა პროტესტის გამოცხადება ნიშის დაკეტვის გამო.

გმუნდენი. დანიის მეფე ცუდად არის.

28 დეკემბერი.

პეტერბურგი. პირველ იანვარს, ახალის წლის გამო, საზამთრო სასახლეში მათი უდიდებულესობანი სტუმრებს მიიღებენ.

ფიუმე. ჩინეთის მთავრობა შეეკითხა აქაურ ნაღმის საკეთებელ ფაბრიკას - გაქვს თუ არა დიდძალი გაკეთებული ნაღმიო. ფაბრიკამ უპასუხა, არა მაქვსო. იაპონიამ ნაღმები გასულ წელს შეიძინა.

პორტ-არტური. შეერთებული შტატები და იაპონია დაბეჯითებით თხოულობენ, ტრაქტატები დაუყოვნებლივ იქმნას დამტკიცებული. გარეშე საქმეთა მინისტრი დიდ გაჭირვებაშია, რადგან უფრო მოსალოდნელია, რომ რუსეთმა მანჯურიის ნავთ-სადგურები არ გახსნას.

გონკონგი. (სპეციალური დეპეშა) «დეილი პრესსი» იუწყება, რომ ტიბეტის დალაი-ლამამ ინდოეთის ვიცე-კოროლს უკან დაუბრუნა წერილებიო.—ფრანგები თხოულობენ რკინის გზის კონცესიებს ფუციანის მხარეში.

პარიჟი. საფრანგეთის მთავრობის აზრით ის, რაც რუსეთმა უკანასკნელ ნოტაში დაუთმო იაპონიას, გვაძლევს საფუძველს იმედი ვიქონიოთ, რომ უთანხმოება აცილებული იქმნება. რუსეთმა იმდენი დაუთმო, რომ ადარა იაპონიის უპირატესობა კორეაში. ამ დათმობამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ტოკიოში. მოლაპარაკებას ისევ განაგრძობენ.

ბელგრადი. კენჭის ყრით სამსახურიდან უნდა დაითხოვონ მეფის ორი ადიუტანტი და სამი ორდინარეცი, ამათგან ოთხი შეთქმულთა პარტიას ეკუთვნის.

ვენა. იაპონიის აქაური სამხედრო აგენტი დეპეშით გაიწვიეს.

სოფია. უფრო საფუძველს მოკლებულია ის ხმა, ვითომ აჯანყებულთ მუქარის წერილები გაეგზავნოთ ოსმალეთის მოხელეებისა და რუმელიის რკინის გზათა საზოგადოებისათვის. კომიტეტები დაადგიან რეფორმების შემოღებას. ამბობენ, რომ მთავრობა ამზადებს მხედრობის ორგანიზაციის მომატებასა და გაფართოებასაო. შესვენების შემდეგ საერო კრებას წარუდგენენ საკითხს ახალ კრედიტის—ათ მილიონ ფრანკის შესახებ.

სტამბოლი. სომეხ გრიგორიანთა პატრიარქი ცირკულიარულ ეპისტოლეთი შეეკითხა აქაურსა და პროვინციის ეპისკოპოსებს, რა გზას უნდა დავადგეთ, თუ ვინიცობაა მე რუსეთმა რუსის მოხელედ გამომაცხადა და დამოუკიდებლობა სომეხთა ეკკლესიის გაუქმდაო. ცირკულიარს აზრად აქვს, აღძრას საკითხი ქათოლიკოსის რეზიდენციის გადატანის შესახებ.

პორტ-საიდი. ინგლისის კრეისერი «დიანა» წავიდა აღმოსავლეთს დაბეჭდილის ბრძანებით.

ნიუ-იორკი. გაზეთი «ტრიბუნე» სასურველად სთვლის, რომ რუსეთ-იაპონიის უთანხმოება გადაეცეს განსახილველად ჰააგის ტრიბუნალს. რუზველტს არ სურს, უთანხმოების საქმეში შუამავლობა იკისროს.

ნიუ იორკი. როგორც ტოკიოდან იტყობინებიან, იაპონიამ გადასწყვიტა განაგრძოს მოლაპარაკება. თუმცა ის არ არის კმაყოფილი რუსეთის მიერ წარდგენილ პირობებით, მაგრამ მაინც თავის თავს ნებას არ აძლევს, ულტიმატუმი წარადგინოს და მოლაპარაკება შესწყვიტოს, იაპონიას სურს ერთხელ კიდევ შეეცადოს, რომ რუსეთს გამოაცვლევინოს წინადადებანი. მოლაპარაკება განეგრძობა რამდენსამე კვირას და დაუჯერებელია, რომ ამ ხნის განმავლობაში მშვიდობიანობა დაირღვას.

სტამბოლი. არზრუმიდან მიღებულია ცნობები, რომ სასუნის კაიმაკამი გაიქცა დახლოვებულ პაცებითურთ, რადგან გამოჩნდნენ მეამბოხე ანტრანიცა და აჯანყებულთა ბრბოები რამდენიმე პოლკი გაგზავნეს საზღვარზე.

29 დეკემბერი.

ბათომი. ნავთის შესანახები გადააქვთ რკინის გზის სადგურ ქობულეთში, ამის გამო მუშაობას გაზაფხულზე შეუდგებიან.

ვლადივოსტოკი. ტყუილია ტოკიოდამ მოსული ამბავი იმის შესახებ, ვითომ ვლადივოსტოკში მდგომი ჯავშნიანი გემები ზღვაში გავიდნენო. ზამთრობით აქ მდგომი გემები „გრომობოი“ „რიურიკი“, „ბოგატირი“, „როსსია“, „ლენა“ და „ხერსონი“ სდგანან ვლადივოსტოკის რეიდზე და ორი დღით გავიდნენ ზღვაში სავარჯიშოდ მხოლოდ „გრომობოი“ დაბრუნდა უკან. ომისათვის მზადება არ სჩანს.

რომი. ვატიკანის წარმომადგენელთა შორის ამბობენ, პაპა იხმარს ყოველ ღონისძიებას მოსპოს უფლება „veto“-სი ყველა კარდინალებმა უნდა ფიცი მიიღონ, რომ ისინი ამ უფლებით არ ისარგებლებენ.

პეკინი. ბოგდიხანმა დაამტკიცა სავაჭრო პირობანი ამერიკასა და იაპონიასთან. თანხმად ამ პირობის დადგენილობისა, ჩინეთი ვალდებულად ხდის თავის თავს დაუყოვნებლივ, დამტკიცების შემდეგ, კარი გაუღოს გარეშე სახელმწიფოთა ვაჭრობას მუკდენსა, ანდუნსა და დადუნგოუში.

სოფია. (ოპოზიციის ცნობებით). უკვე არსებულ ექვსი დივიზიის გარდა, მთავრობა სამს ახალს დივიზიას კიდევ ამზადებს, რომელთა სადგომები იქნება დუბნიცასა. ლამბოლსა და ტირნოვოში.—ის ამბავი, ვითომ მეამბოხეთ დახოცეს რამოდენიმე მაკედონელნი, სიმართლეს მოკლებულია; მკვლელობა ჩაიდინეს ჩვეულებრივმა ავაზაკებმა. მეამბოხეთ არავითარიმე მოქმედება არ დაუწყიათ არც მაკედონიაში, არც ადრიანოპოლის ვილაიეტში.

პეტერბურგი. 28 დეკემბერს ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, დიდნი მთავარნი და დიდნი მთავრინანი დაესწრნენ გრაფ მუსინ — პუშკინის დასაფლავებას.—გაზეთებში გავრცელებულ ხმების გამო, ვითომ რუსეთი ეჯიბრებოდეს იაპონიას სხვადა სხვა ფირმათა და მთავრობათაგან სამხედრო გემების შეძენაში, ჩვენ მონდობილი გვაქვს გამოვაცხადოთ, სამხედრო სამინისტროს არა ვითარიმე განძრახვა არა აქვს შეიძინოს გარეშე სახელმწიფოთაგან გემები და არავისთან არავითარიმე მოლაპარაკება არა ჰქონია გემების შესყიდვაზე.

პეტერბურგის ბირჟა 24 დეკემბერი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,90
ბერლინში 100 მარკაზე	45,95
პარიჟში 100 ფრანკზე	37,37½
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	—
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	99½ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა	95⅛ გაყ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	436 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	325 წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	280 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	92
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	
6% ქუთ. საად მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკტომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ შაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 წ. 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს. 48 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 8 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

განცხადებანი

კახური ღვინის საწყობი სარდაფი

„კურდღელაური“

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ იქ ნამდვილი საუკეთესო კახური ღვინო მსურველთ დაეთმობათ: ბოთლი, 20—25 კ. და მეტად; ვედრო 1 მ. 70 კ., თუნგი 60 კ. და მრავალი სხვა-და-სხვა ფასებათ.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ჩუღურეთში რიყის ქუჩაზედ, გაბაევის სახში № 6. 3—1

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

ყ ვ ე ლ ა ს

ადვილად და პატიოსნურად იშოვის თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი, შთოდ ჩქარა გამოგზავნეთ თქვენა

ადრესი: U. 111 an das Annoncen-Bureau des Merkur in Mannheim Meerfeldstrasse, 44. (50—41)

ახალი გამოცემა

წერა-კითხვის საზოგადოებისა.

ბურჯი ეროვნებისა.

თხუზულება იაკობ გოგებაშვილისა, მეორე ბევრად შევსებული, გამოცემა. ფასი ერთი აბაზი. ვინც ათობით იყიდის, წიგნი დაეთმობა 16 კაპეიკად, ვინც ოცობით — სამ შაურად

ამერიკულ ვაზის სანერგეში

კლო-ყგურულში

დაიწყო გაყიდვა დამყნილ დაფესვიანებულ ვაზებისა. იყიდება აგრეთვე ვაზის რქები საუკეთესო ჯიშისა, როგორც ადგილობრივი, ისე ბორდოსი, ბურგუნდიისა, შამპანიისა, რეინისა და სხვა. მრავლად არის როგორც რქა, ისე დაფესვიანებული გიბრიდი, აგრეთვე ამერიკული ჯიშის სამყნობად და ძველა ვაზისათვის მშრალ, ნოტიო, მაგარ, მძიმე და სხვა ნიადაგისათვის. სანერგეში 700 სხვა-და სხვა ჯიშის ვაზია. პრეისკურანტები და ახსნა უსასყიდლოდ.

შემოტანილი გვაქვს 20,000 ორი წლის ნამყენი რუპესტრისზე „Cattaratu“ კატარატუ, ჯიში, რომელიც იძლევა შესანიშნავ ღვინოს «მწვანეს».

ადრესი: წერილებისა და დეპეშებისათვის:
В. Тьебо, Кутаисъ.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომოურისა ფასი 5 კაპ.

„ც ო დ ნ ა“

ახლად დაარსებული ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება. ყველა ქართული წიგნები და ქართულ-რუსული სახელმძღვანელონი სახმარებელნი სამრევლო და სამინისტრო სკოლებში. აგრეთვე მაღაზია ჰყიდის და ყიდულობს ძველს და ნახმარს წიგნებს დაკლებულ ფასად.

აქვე შეიძლება იყიდონ კალენდრები: უბისა, ჯიბისა და კედლისა.

საგანი „ცოდნის“ მაღაზიისა—გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასათვის ხელ-მისაწდომ გამოცემათა.

მსურველთ წიგნები ეგზავნება ქალაქ-გარედაც **ფას-დადებით.**

დაუყოვნებლივ ვასრულებთ ყოველ გვარ შეკვეთას, როგორც ქალაქის აგრეთვე პროვინციის მცხოვრებლებისას.

იქვე მიიღება ხელის მოწერა ყოველ ქართულ ჟურნალ-გაზეთებზე.

ადრესი: Тифлисъ, Книжный магазинъ „ЦОДНА“.

წიგნის მაღაზიის პატრონი და მმართველი სოსიკო მერკვილაძე.

მ ს წ რ ა ფ ლ მ ბ ე ჭ დ ა ვ ი

სტამბა

ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემინარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფასი ყველასთვის ხელმისაწდომი.

მიიღება ხელის-მოწერა 1904 წლის

ჟ უ რ ნ ა ლ

„მოგზაურზე“

ხ უ თ ი პ რ ე მ ი ი თ.

გარდა ჟურნალისა, რომელშიაც მოთავსებული იქნება საპედაგოგიო, სამეურნეო, სამკურნალო, სამეცნიერო და საისტორიო-საეტნოგრაფიო წერილები, 1904 წლის ხელის-მომწერლებს გაეგზავნება მუქთად შემდეგი ხუთი პრემიაც:

1) დიდი სურათი ნიკოლოოზ ბარათაშვილისა,

ზაქარია ჭიჭინაძესთან დაცულ ძველი სურათიდამ ფოტო-ტიპიით გადმოღებული;

2) „მსოფლიო სურათებში“,

რომელშიაც დასურათებულნი იქმნებიან ჩვენი და უცხო ქვეყნების შესანიშნავნი კაცნი, ცოხე. ქალაქნი, ეკკლესია-მონასტერნი, ხატნი, ძეგლნი, ბუნების მოვლენანი, ფრინველ-ცხოველნი და სხვა, რომ ამ გზით შევქმნათ საუკეთესო ალბომი ქართულს ენაზედ; ეს სურათები (თექვსმეტ-თექვსმეტი) დაურიგდება ხელის-მომწერლებს ჟურნალის ყოველ წიგნთან და იქნება საუკეთესო სახელმძღვანელო მოზარდი თაობის და ხალხის თვით-განვითარებისათვის;

3) „სრულიად საქართველოს გეოგრაფია“,

ბატონიშვილის ვახუშტისა, „მოგზაურის“ რედაქციისაგან ახლად გამოცემული;

4) „სამეურნეო-საოჯახო ნარკვევი“

რომელშიაც მოთავსებული იქნება მრავალი ახალი და ძველი ცნობა და მთელი თხზულებანიც ამ საგნების შესახებ და

5) „სამკურნალო და საჰიგიენო ნარკვევი“,

რომელშიაც მოთავსებული იქნება ყოველგვარი ცნობა ავადმყოფობათა და მათ წამლობათა შესახებ.

ფასი ჟურნალისა ყველა პრემიებით 5 მანეთია და ბარათაშვილის დიდი სურათის გაგზავნისათვის 20 კაპეიკი, სულ 5 მანეთი და 20 კაპეიკი. პირველი და მეორე პრემიები, ე. ი. ბარათაშვილის დიდი სურათი და «მსოფლიო სურათებში» გაეგზავნება მარტო იმათ, ვინც მოხსენებულს ხუთს მანეთს და ერთს აბაზს სრულიად შემოიტანს 1904 წლის პირველ იანვრამდის ამ ადრესით:

Въ Тифлисъ Редакціи „Могзаури“.

ქალაქ თბილისში მცხოვრებლებს შეუძლიანთ მოაწერონ ხელი ან თითონ «მოგზაურის» რედაქციაში (მამა დავითისაკენ, მეჟღვაია ქუჩაზედ, სახლი დაშკევიჩისა, № 27. შესავალი ეზოდამ აქვს, მარჯვნივ, კიბით) და ან ადგილობრივ წიგნის მაღაზიებში; ქუთაისში—ქუთათურ გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში და ბათუმში «გეირგის» ამხანაგობის კანტორაში იასე რაჭველთან და ფოსტის კანტორაში ტროფიმე ინასარიძესთან ხელის მოწერის მიმღებთ ეთმობათ 5 პროცენტი მოხსენებულ ფასიდამ.

ბატონიშვილის ვახუშტის გეოგრაფია ხელის-მომწერლებს დაურიგდებათ მაისში, ხოლო დანარჩენები—პირველ იანვრიდამ.

რედაქტორ-გამომცემელი ივანე პავლეს-ძე როსტომაშვილი.

Дозволено цензурою тифлис 29 декабря 1903г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи. დროებითი რედაქტორი გ. ყიფშიძე, გამომცემელი ხარაჯიშვილი.